ძირითადი საგნები იყოფა 7 ნაწილად, კერძოდ: 1. პლასტიკა - 10 კრედიტი

2. არტ სივრცე და პრეზენტაცია - 3 კრედიტი

3. ბრუტალური პლასტიკა - 6 კრედიტი

4. ფიგურატიული პლასტიკა - 15 კრედიტი

5. ორგანული და არაორგანული პლასტიკა - 6 კრედიტი

6. ქანდაკება ექსტერიერში და ინტერიერში - 7 კრედიტი

7. შემოქმედებითი პედაგოგიკა - 6 კრედიტი.

როგორც ადრე აღინიშნა, სამაგისტრო პროგრამა არ ავითარებს თეორიულ ცოდნას და უნარებს, როგორცაა აკადემიური წერა და ხელოვნების ისტორია.

ადგილზე ვიზიტის დროს, ნათელი გახდა, რომ პროგრამა უფრო შეესაბამება ტრადიციულ ქანდაკებას, ვიდრე ექსპერიმენტულ ურბანულ თემებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კურსდამთავრებულთა დასაქმების გამოკითხვა

- შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებლების საჭიროებების კვლევა ან/და რელევანტური ინფორმაცია.
- თვითშეფასების ანგარიში
- ვებგვერდი
- ინტერვიუები
- სილაბუსები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის ზოგადი რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

- სპეციალობასთან დაკავშირებული კურსის, როგორცაა ქანდაკება საჯარო სივრცეში/ინტერვენცია, შემოტანა.

**პროგრამა 2** (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაციები:**

რეკომენდებულია წერილობითი დისერტაციის შეტანა, როგორც სამაგისტრო დისერტაციის შემადგენელი კომპონენტი, რათა მოხდეს სტუდენტების თვითრეფლექსიის განვითარება, მათი ქანდაკების კონცეფციების დახვეწა და ინდივიდუალური მხატვრული იდენტობის გამოკვეთა. დისერტაცია ესეს ან სამეცნიერო ტექსტის სახით უნდა ეხებოდეს სამაგისტრო თეზისის პრაქტიკულ ნაწილს.

**რჩევები:**

- ექსპერიმენტული საკითხების გაძლიერება, რაც კავშირშია კონტექსტთან, მასალაზე დაფუძნებულ სწავლებასთან და ა.შ.
- სტუდენტების დამოუკიდებლობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად, შეიძლება სასარგებლო იყოს სამაგისტრო დისერტაციისთვის მეტი ქულის მინიჭება ისეთ საგნებთან მიმართებით, როგორცაა ხატვა და პლასტიკა.

\*\*\*\*\*

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქანდაკების საბაკალავრო პროგრამის ცვლილება ძირითადად სპეციალიზაციის საგნებსა და კრედიტების განაწილებას შეეხო. ძველ პროგრამაში, კრედიტების მთლიანი რაოდენობა დარგის საგნებთან მიმართებით იყო 80 კრედიტი. ახალ პროგრამაში, მათი რიცხვი არის 140 კრედიტი. ქანდაკების საბაკალავრო პროგრამაში სპეციალობის საგნების რაოდენობის ზრდა ემსახურება მიზანს, რომ ჩამოაყალიბოს თანამედროვე ხელოვანი მოქანდაკე, რომელსაც ექნება ცოდნა, უნარები და პასუხისმგებლობა გაუმკლავდეს თანამედროვე ვიზუალურ, სამგანზომილებიანი ხელოვნების საკითხებს.

სამაგისტრო პროგრამის ცვლილება ძირითადად სპეციალობის საგნებს და ნაკლებად კრედიტების განაწილებას შეეხო. ახალი საგანი იქნა დამატებული ძველი საგნის ჩანაცვლების მიზნით. პროგრამა უფრო ფოკუსირებული გახდა თანამედროვე სამგანზომილებიანი ხელოვნების ესთეტიკის სწავლებაზე.

პროგრამებში შევიდა ცვლილებები, რომ უფრო მეტად სპეციალიზებული საგნები დამატებოდა როგორცაა უცხო ენა, IT უნარები, შემოქმედებითი პედაგოგიკა და ა.შ., რომლებიც თავსებადია სწავლის შედეგებთან და პროგრამის მიზნებთან. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ დაესწონ სახვითი ხელოვნების კურსებს. თუმცა, ქანდაკების ზოგიერთი კურსი რჩება ბუნდოვანი და ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სტუდენტი მოკლებულია არჩევანის ყველა შესაძლებლობას ან სწავლების სტუდენტზე მორგების შესაძლებლობას, რაც ზღუდავს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას.

როგორც პროგრამების ხელმძღვანელებმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, დაგეგმილია, რომ პროგრამები გახდეს უფრო ინტერდისციპლინური არქიტექტურის და დიზაინის მიმართულებით კურსების დამატებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა და სტუდენტებმა აღნიშნეს ინტერვიუს დროს, რომ სტუდენტთა ინტერესი გათვალისწინებულ იქნა პროგრამის განახლების დროს, მაგალითად, მათი შემოთავაზებით - დავალება, რომ განათავსონ სამგანზომილებიანი ქანდაკება თანამედროვე ურბანულ გარემოში დამატებულ იქნა.

თვითშეფასებაში ნახსენები ლიტერატურა როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის შემთხვევაში ძალიან შეზღუდულია. მოდერნული და თანამედროვე საერთაშორისო ქანდაკების თეორიის კლასიკოსები და საჯარო სივრცეებში ხელოვნების თეორია არ იქნა მოცული.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა)

ქანდაკების საბაკალავრო პროგრამა კრედიტების მნიშვნელოვან წილს (140 კრედიტს) გამოყოფს სავალდებულო კურსებისთვის, სპეციალობის ფარგლებში. პროგრამა აერთიანებს ქანდაკების 6 განსხვავებულ მიმართულებას, ტექნოლოგიებისა და კვლევის თვალსაზრისით თანაბრად გადანაწილებული თეორიული და პრაქტიკული საგნებით:

- პლასტიკური ვიზუალური ხელოვნება (6 კრედიტი)
- კომპოზიციის საფუძვლები (3 კრედიტი)
- კომპოზიცია ( 24 კრედიტი)
- პლასტიკა ( 18 კრედიტი)
- პლასტიკური იმპროვიზაცია ( 18 კრედიტი)
- ექსპერიმენტული პლასტიკა ( 12 კრედიტი)

ქანდაკების 6 მიმართულება ტოვებს ადგილს ინტერპრეტაციისთვის და კარგად ემთხვევა სწავლის შედეგებს, როგორცაა ექსპერიმენტი, კონტექსტთან დაკავშირებული ქანდაკება, ბალანსი ტრადიციასა და თანამედროვე საგნებს შორის. მათე დროს, განსხვავება ექვს მიმართულებას შორის,

როგორც ჩანს, ოდნავ ბუნდოვანია. 6 მიმართულების შედარებისას სილაბუსებში არ არის ყოველთვის ნათელი, თუ რომელი კურსი რომელ მიმართულებას ეკუთვნის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამის საგნები იყოფა რამდენიმე ბკოლად. მათგან უმეტესობა ეკუთვნის პროფესიულ დისციპლინათა ციკლს, რაც შეადგენს 76 კრედიტს.

1. არტ სივრცე და პრეზენტაცია (3 კრედიტი)
2. მოდერნისტ. პლასტიკა (15 კრედიტი)
3. ორგანული და არაორგანული პლასტიკა (6 კრედიტი)
4. ქანდაკება ექსტერიერში და ინტერიერში (7 კრედიტი)
5. შემოქმედებითი პედაგოგიკა (6 კრედიტი)
6. ტექნოლოგიური ინოვაციები (10 კრედიტი)
7. 30 კრედიტი განკუთვნილია სამაგისტრო თეზისისთვის.

სხვა ბლოკი აერთიანებს საბაზისო დისციპლინათა ციკლს:

1. პლასტიკა (10 კრედიტი)
2. ხატვა (16 კრედიტი)

12 კრედიტი დათმობილია საუნივერსიტეტო თეორიულ დისციპლინათა ციკლისთვის:

1. ზოგადი პედაგოგიკა;
2. კულტურის მენეჯმენტი;
3. უცხო ენა

6 კრედიტი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ეთმობა არჩევით კურსებს.

როგორც სამაგისტრო პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნულია, პროგრამა მიზნად ისახავს ჩამოაყალიბოს თანამედროვე პროფესიონალი ექსპერიმენტატორი მხატვარი-მოქანდაკე, რომელიც აღჭურვილია შემოქმედებითი, ანალიტიკური, სექტორული და ტრანსფერული უნარებით, რომელსაც ექნება მკაფიოდ განსაზღვრული ინდივიდუალური მხატვრული ხედვა და იქნება ორიენტირებული ექსპერიმენტულ სიახლეებზე. პროგრამის შედეგების მისაღწევად, ქანდაკების პროგრამა მოიცავს სხვადასხვა საგანს, რომელიც მოიცავს როგორც ზოგადსაუნივერსიტეტო, ასევე ფაკულტეტზე არსებულ მოდულებს. ერთ-ერთი საგანი პროგრამაში არის "ორგანული და არაორგანული პლასტიკა". ამ საგნის ფარგლებში, სტუდენტები იკვლევენ ტექნო-გეომეტრიული და ბიოორგანული პლასტიკის სინთეზს, რომელიც მიზნად ისახავს დამოუკიდებელი და შემოქმედებითი აზროვნების უნარის განვითარებას. სტუდენტები სწავლობენ როგორ განსახვავონ ორგანული ფორმები და ტექნო პლასტიკა და შეიძინონ ანალიტიკური აზროვნების უნარი ქანდაკების სწავლის ფარგლებში.



კონცენტრაციები მოიცავს დარგის ყველა ძირითად განზომილებას და სამაგისტრო დისერტაციასთან ერთად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. რაც შეეხება კურსის დონეზე სწავლის შედეგების გაზომვას, აკადემიურმა პერსონალმა განსაზღვრა შეფასების ფორმები/ტიპები, რომლებიც გამოიყენება როგორც შუალედურ, ისე დასკვნით გამოცდებად. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგინილი სასწავლო გეგმის საფუძვლიანი ანალიზი ჩაატარა და ადასტურებს, რომ კურსის დონეზე სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის დონეზე სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები
- 2012 წლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის შედარება
- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდებულია მეტი ლიტერატურის უზრუნველყოფა თანამედროვე ქანდაკების მიმართულებით, რაც მოიცავს საერთაშორისო თეორიულ კლასიკოსებს და ხელოვნებას საჯარო სივრცეებში.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

სასურველია, ექვსი კატეგორიის განსაზღვრა (1. ვიზუალური პლასტ. 2. კომპოზიციის საფუძვლები 3. კომპოზიცია 4. პლასტიკა 5. პლასტ. იმპოვიზაცია 6. ექსპერიმენტურლი პლასტ.) უფრო ნათლად და მათი დაკავშირება სილაბუსში აღწერილ კურსებთან.



## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა, დონე 6)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა, დონე 7)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა, დონე 6)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა, დონე 7)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თსსა–მ განსაზღვრა კლასტერში შემავალი ორივე დონის პროგრამებზე მიღების შესაბამისი წინაპირობები, რაც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და იმ უნარებს, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ პირი ჩაერთოს პროგრამაში; შეძლოს პროგრამის დაძლევა და შესაბამისი ცოდნისა და უნარების შექმნა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ასევე ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და განათლების სხვადასხვა საფეხურის მოთხოვნებს.

ინფორმაცია კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამებზე მიღების წესის, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე: [www.art.edu.ge](http://www.art.edu.ge).

ვებგვერდზე ასევე განთავსებულია ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამებზე მიღების შესახებ, თუმცა არ შეიცავს სპეციალობის გამოცდის სრულ აღწერას.

პროგრამებზე მიღება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდისა და ხატვის შიდა შემოქმედებითი ტურის ჩაბარების შემთხვევაში.

აკადემიაში ასევე განსაზღვრულია პირობები, ვინ შეიძლება ჩაირიცხოს ეროვნული გამოცდის გარეშე. კერძოდ:

- I. უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი ან ეკვივალენტი განათლება უცხო ქვეყანაში;
- II. საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი ან ეკვივალენტი განათლება უცხო ქვეყანაში და ისწავლეს სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი უცხო ქვეყანაში;
- III. პირები, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიიღეს კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტების მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/5 ბრძანებით და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია არის გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის უნივერსიტეტის ვებგვერდზე. [www.art.edu.ge](http://www.art.edu.ge).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა, დონე 6)

დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან აბიტურიენტები, რომლებმაც ჩააბარეს თსსა შემოქმედებითი ტური და ერთიანი ეროვნული გამოცდები: ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აბიტურიენტები ქართულ ენას და უცხო ენას აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.

შემოქმედებითი ტური ორი კომპონენტისგან შედგება, კომისიის წევრები ჯერ ეცნობიან განმცხადებლის პორტფოლიოს, შემდეგ კი ტარდება ხატვის გამოცდა. შემოქმედებითი ტურის შესახებ ინფორმაცია აბიტურიენტისთვის ხელმისაწვდომია ტურამდე მინიმუმ ორი თვით ადრე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა, დონე 7)

განმცხადებელს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, გავლილი თსსა-ში. სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის მისაღები გამოცდა ხატვაში და უცხო ენაში (B2 დონე).

ნახატის გამოცდაზე აბიტურიენტები ხატავენ ფეხზე მდგარ შიშველ მოდელს. ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის აღწერილი აკადემიის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტში.

სამაგისტრო გამოცდას სიახლე დაემატა, კერძოდ, საჭირო გახდა პორტფელიოს წარდგენა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამა
- სამაგისტრო პროგრამა
- ბაკალავრიატის მისაღები გამოცდის პროცედურა
- ბაკალავრიატის მისაღები გამოცდის საკითხები
- ბაკალავრიატის მისაღები გამოცდის კრიტერიუმები
- მაგისტრატურის მისაღები გამოცდის პროცედურა
- მაგისტრატურის მისაღები გამოცდის საკითხები
- მაგისტრატურის მისაღები გამოცდის კრიტერიუმები
- თსსა ვებგვერდი <http://www.art.edu.ge>

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: მაგისტრატურაში სპეციალობის მისაღები გამოცდის შინაარსი მითითებული უნდა იყოს აკადემიის ვებგვერდზე.

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა, დონე 6)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა, დონე 7)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტების უნარების განვითარება პროგრამის სასწავლო გეგმის შიგნით:

ქანდაკებაში საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ფოკუსირებულია სტუდენტთა პრაქტიკულ, კრეატიულ-შემოქმედებით, თეორიული და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. პროგრამის კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილია აქტივობები, რომლებიც ეხმარება სტუდენტებს განავითარონ ხსენებული უნარები სწავლის შედეგების შესაბამისად.

საბაკალავრო პროგრამა (4 წელი, 8 სემესტრი, 240 კრედიტი) მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს და შესაბამის 5 ბლოკს:

1. პროფესიულ სავალდებულო კურსებს: 140 კრედიტი.
2. საბაზისო უნარების საგნები: 18 კრედიტი.
3. არჩევითი საგნები: 46 კრედიტი.
4. საუნივერსიტეტო თეორიული (არჩევითი) საგნები: 36 კრედიტი.
5. საბაკალავრო ნაშრომი : 10 კრედიტი

პროფესიული სავალდებულო კურსები შექმნილია იმისთვის, რომ სტუდენტებს მიაწოდოს ფუნდამენტური ცოდნა და უნარები, რომლებიც აუცილებელია ქანდაკების სწავლების მიმართულებით სპეციალიზაციისთვის. ძირითადი უნარების საგნების ბლოკი მოიცავს სპეციალობის სავალდებულო საგნებს და ფოკუსირებულია დარგისთვის აუცილებელი ხატვისა და ქანდაკების უნარების განვითარებაზე. არჩევითი სპეციალური კურსები სთავაზობს სტუდენტს დამატებით ცოდნას ხელოვნებისა და კულტურის სფეროების მიმართულებით. უნივერსიტეტის თეორიული (არჩევითი) საგნობრივი ბლოკი საშუალებას აძლევს ქანდაკების სპეციალისტებს მიიღონ ზოგადი განათლება სასურველ დარგებში, როგორცაა ფსიქოლოგია, ფილოსოფია, უცხო ენები, IT და ა.შ. საბაკალავრო პროექტი საბაკალავრო პროგრამის განმავლობაში შექმნილი მასალისა და ცოდნის კულმინაციას ახდენს შესაბამისი უნარების დემონსტრირებით.

დარგის ინტერდისციპლინარული ხასიათიდან გამომდინარე, სპეციალობის სავალდებულო საგნები იყოფა სამ ძირითად მიმართულებად: 1. ქანდაკების მიმართულების საგნები - 81 კრედიტი 2. ხატვა - 30 კრედიტი; 3. საუნივერსიტეტო თეორიული - 36 კრედიტი. პროგრამა ნათლად გამოყოფს ქანდაკების ექვს საგანს, რომლებსაც მასალის შინაარსისა და მოცულობის მიხედვით ენიჭებათ არაერთი კრედიტი (1. პლასტიკური ვიზუალური ხელოვნება (6კრედიტი) ; 2.

კომპოზიციის საფუძვლები (3 კრედიტი); 3. კომპოზიცია (24 კრედიტი); 4. პლასტიკა ( 18 კრედიტი); 5. პლასტიკა/იმპროვიზაცია (18 კრედიტი); 6. ექსპ. პლასტიკა ( 12 კრედიტი).

პროფესიული სავალდებულო კურსები მოიცავს 10 საგანს, რომელიც გადანაწილებულია I-VIII სემესტრებში, და აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას შეიძინონ თეორიული/კვლევითი ცოდნა და კრეატიულობა.

სავალდებულო კურსების სია მოიცავს სხვადასხვა საგანს და ძირითადად მოიცავს სწავლებას: დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად არის აღწერილი აქტივობები (აქტივობა ჯგუფში, კურსის სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლა-სწავლების მეთოდები ხელს უწყობს კურსის მასალის გააზრებას და ხელს უწყობს პრაქტიკული, შემოქმედებითი/ გადასატანი უნარების შესრულებას. კონკრეტული კურსის ბუნებიდან გამომდინარე, პროგრამა აერთიანებს სწავლების სხვადასხვა ფორმას (სტუდია/ვორკშოპი, პრაქტიკული ლექცია, კრეატიული პროექტი, სემინარი) და მეთოდებს (მათ შორის ვერბალური ან ზეპირი მეთოდები, წიგნის მუშაობა, წერილობითი სამუშაო, დემონსტრირება, ახსნა, მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ისევე როგორც პრაქტიკული მეთოდები, როგორცაა შემთხვევის შესწავლა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), თანამშრომლობითი სწავლება, ევრისტიკული მეთოდები და გონებრივი იერიში, დისკუსია, მასალაზე მუშაობა, გამოფენაში მონაწილეობა, შემოქმედებითი პროექტი, პრეზენტაცია, ესე, მოხსენება და ა.შ.), რომლებიც ორიენტირებულია შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. არჩევითი საგნები ფოკუსირებულია თეორიულ და პრაქტიკულ უნარებზე.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, შედგება სავალდებულო და არჩევითი კურსებისაგან და შეიცავს შემდეგ ხუთ ბლოკს:

1. საბაზისო საგნები: 26 კრედიტი.
2. საბაზისო პროფესიული სავალდებულო საგნები: 46 კრედიტი
3. საუნივერსიტეტო თეორიული საგნები: 12 კრედიტი.
4. სამაგისტრო თეზისი: 30 კრედიტი;
5. არჩევითი საგნები: 6 კრედიტი.

ძირითადი საგნები დაყოფილია 7 ნაწილად: 1. პლასტიკა - 10 კრედიტი 2. არტსივრცე და პრეზენტაცია - 3 კრედიტი 3. მოდერნისტული პლასტიკა - 6 კრედიტი. 4. ფიგურატიული პლასტიკა 1-2- 15 კრედიტი 5. ორგანული და არაორგანული პლასტიკა - 6 კრედიტი 6. ქანდაკება ინტერიერში და ექსპერტიერში - 7 კრედიტი 7. შემოქმედებითი პედაგოგიკა - 6 კრედიტი. სამაგისტრო პროგრამა ემსახურება ლოგიკურ გაგრძელებას ბაკალავრის საფეხურიდან, ხელს უწყობს პროფესიონალი მოქანდაკეების განვითარებას და საშუალებას აძლევს ქანდაკების სწავლების მიმართულებით სიღრმისეული და სპეციალიზებული შემოქმედებითი/პრაქტიკული ცოდნისა და უნარების შექმნას. ზემოსხსენებული მიზნების მიღწევას სამაგისტრო პროგრამა ახდენს შესაბამისი სტრუქტურითა და საგნებით.

ზოგადად, პროგრამის პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო კომპონენტი შეესაბამება სწავლის შედეგებსა და სწავლების დონეს.

სტუდენტების უნარების განვითარება პროგრამის კურიკულუმის გარეთ:

სამხატვრო აკადემია ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვას სხვადასხვა კურიკულუმის გარე აქტივობაში. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სტუდენტები ჩართულნი არიან კურიკულუმის გარეთ რამდენიმე აქტივობაში; ძირითადი აქცენტი კეთდება სტუდენტური ნამუშევრების წარდგენაზე სხვადასხვა კონკურსზე (პროფესიულ კონკურსებში და მასტერკლასებში მონაწილეობა). ადგილზე ვიზიტის დროს, სტუდენტებმა დააფიქსირეს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, მასტერკლასებისა და ქანდაკების მიმართულებით ვორქშოფების ნაკლებობა.

სამხატვრო აკადემიას აქვს რამდენიმე მემორანდუმი დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ცენტრებთან: "Fund Art Caucasus", ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სახვითი ხელოვნების მუზეუმი. ამ მემორანდუმის მიზანია სტუდენტთა მხარდაჭერა, რომ იპოვონ სტაჟირება, დასაქმდნენ და განვიტარონ პროფესიული უნარები, მოიაზრებოდნენ საშტატო რეზერვში და გაავრცელონ ინფორმაცია სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისთვის. შესაძლებლობა:

ა) ჰქონდეთ ინფორმაცია დამსაქმებლის მიერ შემოთავაზებული კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

ბ). ჰქონდეთ აქტიური კომუნიკაცია მომავალ დამსაქმებლებთან და ვაკანსიების შესახებ

გ) გახდნენ კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე, საზოგადოების სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების გათვალისწინებით;

დოკუმენტების შესწავლამ აჩენა, რომ დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობის რამდენიმე მაგალითი, და სტუდენტების ჩართულობა კურიკულუმის გარე ერთობლივ აქტივობებში, როგორებიცაა:

ა) თამარ თოიძის პერსონალური გამოფენა, სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტმა დააორგანიზა CHARDEN ART GALLERY "გარდენია შევარდნაძეში" ( 2021 წლის 22 ივნისი)

ბ) თანამედროვე ქანდაკების ფორუმი, რომელიც ჩატარდა მერაბ ბერძენიშვილის საერთაშორისო კულტურის ცენტრ "მუზაში" (2021 წლის 18-19 ოქტომბერი), არქიტექტურის დეპარტამენტი მონაწილეობდა როგორც ორგანიზაციულ ნაწილში, ასევე გამოფენასა და დისკუსიებში "საგანამნათლებლო პროცესი, პრობლემები და გამოწვევები არქიტექტურის დარგში" (დისკუსია).

ბ) პორტრეტული ბიუსტების შექმნა - ქანდაკების მიმართულების ოთხი სტუდენტი მონაწილეობდა თბილისის ტუბერკულოზის ცენტრის მიერ ინიცირებულ პროექტში, რომელშიც კულტურის სამინისტრო მონაწილეობს ტუბერკულოზის ცენტრის დამფუძნებლების ნიკოლოზ ხუდადოვისა და იოსებ აბაკელიას პორტრეტების ბიუსტების შესაქმნელად, რომლებიც უკვე შექმნილია და გამოძერწილია. არქიტექტურის ოთხი სტუდენტი მონაწილეობდა პროექტში.



თუმცა, სამხატვრო აკადემიამ უნდა იმუშავს გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის მიმართულებით. მაგ. ერასმუსის პროგრამები აძლიერებს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას, ასევე სტუდენტთა მოტივაციას და სხვადასხვა სახელოვნებო აქტივობაში მათ ჩართვას. სასურველია, გაიზარდოს შემოქმედებითი-კვლევითი პროექტების განვითარება საერთაშორისო საგრანტო პროგრამების საშუალებით და რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობითი პარტნიორობის გაძლიერება საგანმანათლებლო და ხელოვნების პროფილის ინსტიტუტებთან.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები.
- მემორანდუმის პროექტი ხელოსნების აკადემიასა და თბილისის არქიტექტურისა და სკულპტურთა ასოციაციას შორის.
- ინტერვიუები ადგილზე.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:**

ჩატარდეს უფრო მეტი საერთაშორისო, ინტერდისციპლინური ვორქშოფი და პროექტი მოწვეული ლექტორების მონაწილეობით არქიტექტურის კონტექსტში.

სასურველია, გაიზარდოს შემოქმედებითი-კვლევითი პროექტების განვითარება საერთაშორისო საგრანტო პროგრამების საშუალებით და რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობითი პარტნიორობის გაძლიერება საგანმანათლებლო და ხელოვნების პროფილის ინსტიტუტებთან.

საგამოფენო უნარების შექმნის/გაუმჯობესების მიზნით, სასურველია თანამშრომლობა სახელმწიფო და კერძო საგამოფენო გალერეებთან სტუდენტთა პრაქტიკის/სტაჟირების მიზნით.

ურბანული პროექტებისა და საზოგადოებრივი ქანდაკების კონტექსტში, მიზანშეწონილია წაახალისოს ინტერდისციპლინური თანამშრომლობა არქიტექტორებთან და ქალაქმგეგმარებლებთან.

აკადემიური წერის უნარების პრაქტიკაში გამოყენება.

## შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა)	V	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა)	V	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბუნებრივია, რომ მისი არსებობის 100 წლის მანძილზე დაგროვდა საკმაოდ დიდი პედაგოგიური გამოცდილება, რაც გამოიხატება სწავლების ტრადიციულ და გამოცდილ მეთოდებში. მაგრამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან საუბრისას დაგრწმუნდით, რომ დაწესებულება ცდილობს არ ჩამორჩეს მსოფლიო ტენდენციებს და მოახდინოს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის სწავლების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების სინთეზი, რაც აისახება კლასტერში გაერთიანებული სასწავლო პროგრამების სწავლებისა და სწავლების მეთოდებში.

თსსა-ში არსებობს სასწავლო პროცესის ორგანიზების შემდეგი ფორმები: სტუდიური სწავლება, სალექციო, პრაქტიკული.

სტუდიური სწავლება სახვითი ხელოვნების სწავლების ერთ-ერთი უძველესი და ტრადიციული ფორმაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მხრივ, სილაბუსებში სტუდიური სწავლება წარმოდგენილია სხვადასხვა მეთოდის განხორციელებით: გამოკითხვა, სქემატური გამოსახულება,



ესკიზები, ეტიუდები, ნახატები, ექსპოზიცია, პრეზენტაცია, ჯგუფური დისკუსია, დებატები, და ა.შ.

პრაქტიკული განათლება მოიცავს დამგეგმავში მუშაობას, ანატომიურ ატლასებთან მუშაობას (პლასტიკური ანატომია), ლაბორატორიულ სამუშაოებს (ფერწერის ტექნიკა და ტექნოლოგია) და ა.შ. მეორე მხრივ, თეორიულ კურსებში ასევე გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი, როგორცაა:

1. სიტყვიერი ან ზეპირი მეთოდები;
2. განხილვა/ დებატები
3. შემთხვევის ანალიზი,
5. გონებრივი იერიში
6. მიზნების დასახვა და მიღწევა
7. დემონსტრირება,
8. მასალების ძებნა და ანალიზი

სწავლების მეთოდებს შორის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტთან ინდივიდუალურ მუშაობას, როდესაც პროფესორი, კურსის ძირითად ამოცანებთან ერთად, აძლევს სტუდენტს ასევე ინდივიდუალურ დავალებებს, განიხილავს ესკიზებზე მუშაობას, ეხმარება მასალის შერჩევაში და მის განხორციელებაში, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებას.

მაგრამ, გარდა ზემოთ და სილაბუსებში ნახსენები მეთოდებისა, თსსა აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად ცდილობს ბევრად უკეთესი შედეგის მიღებას კლასგარეშე აქტივობებით სტუდენტებთან აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენებით.

ტრენინგის მეთოდებს შორის სტუდენტები სტუმრობენ სხვადასხვა სახელოსნოს, სამსხმელო ქარხანას თუ კარიერს, სადაც შეუძლიათ მიიღონ გამოცდილება მასალასთან მუშაობის კონტექსტში. ისინი ეცნობიან სხვადასხვა თანამედროვე სინთეტიკურ მასალას, იძენენ გამოცდილებას 3D პრინტერით.

აკადემიის ადმინისტრაცია აქტიურად ცდილობს ჩართოს სტუდენტები გამოფენებში.

კარგი იქნება, თუ სწავლების ყველა ეს ალტერნატიული მეთოდი, აქტივობა თუ პრაქტიკული გამოცდილება კონკრეტული საგნის სილაბუსშიც აისახება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამა:
- სამაგისტრო პროგრამა
- პროგრამის სილაბუსები

- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები;
- გასაუბრება სტუდენტებთან;
- გასაუბრებები დამსაქმებლებთან

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:**

კარგი იქნება, თუ სწავლების ყველა ეს ალტერნატიული მეთოდი, აქტივობა თუ პრაქტიკული გამოცდილება კონკრეტული საგნის სილაბუსშიც აისახება.

უსდ-მ ჩართოს მეტი საერთაშორისო აქტივობა, როგორცაა გაცვლითი პროგრამები, ვორქშოპები და სტუმრების ლექციები, რათა გაუმჯობესდეს სტუდენტების ენობრივი კომპეტენცია, ისინი გაეცნონ პროფესიულ ტერმინოლოგიას და გაიფართოონ შემოქმედებითი ჰორიზონტი.

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა, დონე 6)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა, დონე 7)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.4. სტუდენტის შეფასება**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სტუდენტების შეფასება დადგენილი პროცედურების მიხედვით ტარდება, არის გამჭვირვალე, სანდო და კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის განხორციელებისა და სასწავლო დისციპლინების სწავლებისას სტუდენტის შესრულებული სამუშაო თითოეულ დისციპლინაში ფასდება კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერისა ევროპული სისტემით (ECTS) და საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული „უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების სისტემით.

აკადემიაში მოქმედებს სტუდენტების შეფასების 100-ქულიანი სისტემა. მაქსიმალური დადებითი ქულა არის 100, მინიმალური კი 51 ქულა. გარდა ამისა, დადებით შეფასებად ითვლება შემდეგი: A (91-100), B (81-90), C (71-80), D (61-70), E (51-60). უარყოფით შეფასებად ითვლება: FX (41-50), F (40 ან ნაკლები).

შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის მოცემული კონკრეტული საგნის სილაბუსში. სასწავლო კურსების წარმატებით გავლისთვის საჭიროა სტუდენტის აქტიური ჩართულობა პროცესში. თსსა-ში შეფასების სქემა მარტივია და შედგება რამდენიმე კომპონენტისგან, კერძოდ: დამოუკიდებელი მუშაობის შეფასება, შუალედური გამოცდის შეფასება, დასკვნითი გამოცდის შეფასება.

როგორც დოკუმენტებითა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, აკადემია ყოველდღიურ სალექციო აქტივობებში ქულებს არ წერს. კითხვაზე - ახდენს თუ არა ეს მიდგომა უარყოფით გავლენას სტუდენტთა მოტივაციაზე - პასუხი იყო არა. მეორე მხრივ, სტუდენტების დასწრების მაღალი მაჩვენებლის შესანარჩუნებლად, თსსა-მ შეიმუშავა სასწავლო პროცესის შემდეგი მარეგულირებელი წესები: სტუდენტი არ დაიშვება დასკვნით გამოცდაზე, თუ კონკრეტულ საგანში გამოტოვებული საკონტაქტო საათების რაოდენობა არის 50% ან მეტი; სწავლის თითოეულ საფეხურზე სტუდენტს ეძლევა ფინალური გამოცდის ხელახალი ჩაბარების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს საერთო ქულა არანაკლებ 41, ფინალური გამოცდის ჩათვლით; შუალედური შეფასების თითოეულ ფორმაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი წარმოადგენს ამ შეფასებისთვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 30%-ს, ხოლო საბოლოო შეფასებაში (გამოცდაში) მაქსიმალური ქულის 50%-ს; სტუდენტის ნაშრომში (შუალედური ან დასკვნითი გამოცდა/დავალება) პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში იგი არ ფასდება; სტუდენტს ეძლევა შუალედური ან დასკვნითი გამოცდის გადაბარების (დამატებითი გამოცდის ჩაბარების) საშუალება.

შეფასების სისტემა და კრიტერიუმები თითოეული კომპონენტისთვის განსაზღვრულია კურსის სილაბუსში. შეფასების ფორმები და კომპონენტები შეესაბამება საგნის სწავლის შედეგებს. შეფასების კომპონენტები და მათი სპეციფიკური წილი ასახულია თითოეული სასწავლო კომპონენტის სილაბუსში. ასევე, ყველა დონის პროგრამის სილაბუსში აღწერილია შუალედური ან დასკვნითი გამოცდის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები ნებისმიერი კურსისთვის. ყველა წარმოდგენილ პროგრამას ერთვის ინფორმაცია საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების შესახებ (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა).

რაც შეეხება სადიპლომო ნაშრომების შეფასების სისტემას, ის შემდეგი ტიპისაა: ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, რომელშიც გათვალისწინებულია შემდეგი კრიტერიუმები: საბაკალავრო ნაშრომის საკითხის შერჩევა, კონცეფცია/ არგუმენტაცია - 20 ქულა; შერჩეული მასალა და შესრულების ტექნიკა (ესკიზები, ეტიუდები) - 20; თემის იდეისა და მხატვრული მხარის მთლიანობა - 20; სადიპლომო ნაშრომის პრეზენტაცია - 40 ქულა.

როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სტუდენტების დამოკიდებულება შეფასების არსებული სისტემისა და კომპონენტების მიმართ დადებითია. აღნიშნული სქემა მათთვის გასაგები და მისაღებია და ამ მიმართულებით არაფრის შეცვლას არ ისურვებდნენ.

რაც შეეხება გასაჩივრების მექანიზმს, როგორც გასაუბრებისას გაირკვა, აკადემია ამ მექანიზმით უზრუნველყოფს სტუდენტებს. თუ ისინი არ დარჩებიან კმაყოფილი გამოცდების შედეგებით, შეუძლიათ გაასაჩივრონ ქულა. სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებული გასაჩივრების მექანიზმის შესახებ. თავის მხრივ, ლექტორებმა რამდენიმე შემთხვევა გაიხსენეს, როდესაც სტუდენტმა აღნიშნული ინსტრუმენტი გამოიყენა და შედეგი შეიცვალა.

აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფის მიზნით აკადემიამ გააფორმა ხელშეკრულება ასოციაციასთან „მეცნიერებისთვის“. აკადემია უზრუნველყოფს სტუდენტების ნაშრომებს და შემოწმების შემდეგ უკან უბრუნდებათ. საუბარია წერილობით დავალებებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამის თანდართულ სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები;
- სტუდენტების შეფასების ელექტრონული სისტემა/პორტალი;
- შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა;
- პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმი;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები;
- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა)	V	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 2 (ქანდაკება,  
სამაგისტრო პროგრამა)

V

### პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (დასახელება, დონე)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (დასახელება, დონე)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების ამაღლებისა და კარიერული განვითარების საკითხებში პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულებისაგან, კერძოდ: დეკანის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის კოორდინატორების, IT დეპარტამენტის, ბიბლიოთეკის, პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისაგან.

სწავლების შედეგებისა და სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის გაუმჯობესების მიზნით აკადემიური პერსონალის განრიგი მოიცავს საკონსულტაციო საათებს, რომლის შესახებ ინფორმაცია წერია თავად სილაბუსში და სტუდენტს აქვს მასზე წვდომა. ორივე საფეხურის სტუდენტებს საშუალება აქვთ წინასწარ გაეცნონ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებს.

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან რიგი ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. როგორც აღინიშნა, სოციალურ ქსელში შეიქმნა სპეციალური გვერდი, რომელზეც სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაცია მხატვრული პროექტების, კონკურსების, ვორქშოპების შესახებ.

როგორც ადმინისტრაციამ და სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, აკადემია სტუდენტებს მუდმივად აწვდის საჭირო ინფორმაციას. ინფორმაციის გავრცელების ძირითადი არხებია აკადემიის ოფიციალური ვებგვერდი და ვებგვერდი „ემისის“ სასწავლო ბაზა, გარდა ამისა, სტუდენტები სარგებლობენ აკადემიის მიერ შექმნილ საუნივერსიტეტო ელფოსტით, სადაც ასევე იგზავნება სხვადასხვა სახის ინფორმაცია.

როგორც ჩვენთან ინტერვიუში სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, სემესტრში ერთხელ ან ორჯერ იმართება სხდომები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ ერთის მხრივ სტუდენტები, მეორე მხრივ პროფესორობა, დეკანატი, ადმინისტრაცია. სხდომა პერიოდულად იმართება და განიხილება საუნივერსიტეტო საკითხები.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, სამემსრულებლო და შემოქმედებითი აქტივობებში.

რაც შეეხება სტუდენტურ მომსახურებებს, აღსანიშნავია მათი გამოხმაურების ფორმები, რომლებიც, პირველ რიგში, მოიცავს გამოკითხვებს. სტუდენტების გამოკითხვა ტარდება ყოველ სემესტრში. გამოკითხვა არის პერიოდული, ანონიმური და სავალდებულო. კითხვარი შედგენილია იმის დასადგენად, თუ როგორ ჩატარდა ლექციები ბოლო სემესტრში, რამდენად კმაყოფილი იყვნენ პროფესორის მუშაობით. ამ მიმართულებით სტუდენტი აფიქსირებს თავის პოზიციას, რის შემდეგაც გამოკითხვის შედეგები ეგზავნება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ეს უკანასკნელი შედეგების ანალიზისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების პროცესში ჩართავს აკადემიურ პერსონალსა და ადმინისტრაციის საგანმანათლებლო პროცესზე პასუხისმგებელ პირს. გამოკითხვის შედეგების დამუშავების შემდეგ, საჭიროებისამებრ, სასწავლო კურსის ან პროფესორის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მუშავდება რჩევები ან რეკომენდაციები. როგორც სტუდენტებმა და მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების გამო მიცემული რეკომენდაციები დიდწილად არის გათვალისწინებული.

გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტების გარდა მათ აქვთ კურსდამთავრებულთა კითხვარიც, რომელსაც ყოველწლიურად უგზავნიან მათ. კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს ინფორმაცია და აღნიშნეს, რომ კითხვარს ხშირად ავსებენ.



აკადემიას აქვს კარიერის განვითარების სერვისი, რომელიც დასაქმებასთან დაკავშირებით უწევს კონსულტაციას სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

ტექნიკურ ნაწილში სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს შემდეგ პრობლემებს: კომპიუტერების, დინამიკების და პროექტორების ნაკლებობას/გაუმართაობას.

სტუდენტებმა ასევე გამოთქვეს სურვილი გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით: მეტი საერთაშორისო მობილობა/გაცვლითი პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნება უშუალოდ ქანდაკების პროგრამაზე. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, გაცვლით პროგრამაში რამდენიმე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, თუმცა ის უშუალოდ ქანდაკების პროგრამაზე არ იყო მიმართული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაგეგმილი და გამხორციელებული საკონსულტაციო სერვისები;
- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართული პირების (პროგრამაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი, ფაკულტეტის/სკოლის კოორდინატორი ან სხვა) დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები;
- დოკუმენტები/ინფორმაცია სტუდენტების ჩართულობის შესახებ ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში;
- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

#### კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

სამხატვრო აკადემიამ უნდა იმუშაოს სტუდენტების ჩართულობაზე სასწავლო გაცვლით პროგრამებში, მაგ., ერასმუსის პროგრამებში, რათა გააძლიეროს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია, ასევე სტუდენტების მოტივაცია და მრავალფეროვნება მხატვრულ საქმიანობაში.

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მიზანშეწონილია სტუდენტებისთვის უკეთესი ინფორმაციის მიწოდება არჩევითი კურსების შესახებ.

შეფასება



გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	v	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	v	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მარეგულირებელი დოკუმენტებით: ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის დანიშვნასთან, სამუშაოს დასრულებასთან დაკავშირებით და ა.შ.

ხელმძღვანელი ინიშნება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით. მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან ხელმძღვანელებით. ხელმძღვანელი შეირჩევა სამაგისტრო ნაშრომის თემის მიხედვით, მისი გამოცდილებისა და კომპეტენციის შესაბამისად. ამ სფეროში სასურველია ნაშრომის ხელმძღვანელის პრაქტიკული გამოცდილება, ვინაიდან კურსდამთავრებულებს ექნებათ პრაქტიკული ნამუშევრის დაცვა. რაც შეეხება ნარატიულ/წერილობით ნაშრომებს, ეს შეიძლება იყოს გვერდი ან გვერდნახევარი. მის შინაარსს აქვს აღწერითი ფუნქცია. მაგისტრანტი წერილობით მიუთითებს რა მასალები გამოიყენა ნამუშევარში, ასევე რა შინაარსი და იდეებია მასში შეტანილი.

როგორც არაერთხელ აღინიშნა ინტერვიუს დროს, მაგისტრანტებს თავისუფლად შეუძლიათ აირჩიონ სადისერტაციო თემა და სამეცნიერო ხელმძღვანელი. მეორეს მხრივ, ხელმძღვანელები გამოხატავენ მზადყოფნას გარკვეული ლიმიტის ფარგლებში იყვნენ ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისთვის. რაც შეეხება თანახელმძღვანელს, აკადემიაში ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ გარკვეული რჩევებისა და რეკომენდაციებისთვის ძირითადად კონსულტანტებს მიმართავენ, ხოლო პროგრამებში თანახელმძღვანელის საჭიროება ჯერ არ შეინიშნება.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამებში საჭიროა აკადემიური პერსონალის დამატება. მათი არასაკმარისი რაოდენობა აშკარად უარყოფითად აისახება ხელმძღვანელების სასურველ რაოდენობაზე. კარგი იქნებოდა, თუ აკადემია მეტ ყურადღებას დაუთმობდა ამ მიმართულებას, რათა სტუდენტთა დიდი კონტიგენტის მიღების შემთხვევაში, ყველა მათგანი უზრუნველყოფილი იყოს ხელმძღვანელით.

ფაკულტეტი მაგისტრატურას უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალით, მოწვეული პროფესორებით, და მაგისტრის დიპლომის მქონე მოწვეული მასწავლებლებით. თუ ფაკულტეტზე არ არის კვალიფიციური სპეციალისტი სტუდენტის მიერ არჩეულ სფეროში, მაშინ ფაკულტეტი მას იწვევს გარედან. ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტს საკვალიფიკაციო ნაშრომის შექმნაში, უტარებს კონსულტაციებს. დისერტაციის დაცვისას იგი წარა სამსხმელო ქარხნები დგენს ნაშრომს (წერილობით და სიტყვიერად), აცნობებს საბჭოს სამუშაო პროცესს და თავად ნაშრომს.

სადიპლომო ნაშრომის თემის შერჩევა და დამტკიცება ხდება ორ ეტაპად: სტუდენტი ათანხმებს სადიპლომო ნაშრომის თემას (მათ შორის მასალას, ტექნიკას, სამუშაოების რაოდენობას) ხელმძღვანელთან, რის შემდეგაც ხელმძღვანელი წარუდგენს შერჩეულ თემას ფაკულტეტის საბჭო დასამტკიცებლად. სადიპლომო ნაშრომის თემა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს სამაგისტრო კურსის სასწავლო წლის მეორე სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

რაც შეეხება მაგისტრანტის საჭირო მასალებით მომარაგებას, ინტერვიუს მსვლელობაში ცნობილი გახდა, რომ ამ მიმართულებით ყველაფერი დროულად ხდება. ტრადიციული მასალები წინასწარ არის მოწოდებული. სხვადასხვა მასალის საჭიროების შემთხვევაში სტუდენტი წერს განცხადებას. როგორც აღინიშნა, ამ დამატებით მასალებსაც აფინანსებს აკადემია.

სადიპლომო ნაშრომის დაცვის პროცესს, როგორც წესი, ესწრებიან სხვადასხვა თაობის მოქანდაკეები.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
პროგრამა 1 (დასახელება, საფეხური) <sup>7</sup>	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	4
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	-
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	2

<sup>7</sup> აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	-
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	2
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	-

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ხელშეკრულების ფორმა ან/და ხელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლისა და უფლებამოსილების განმსაზღვრელი დოკუმენტი;
- ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები და შეფასების შედეგები;
- მაგისტრატურის დებულება;
- მაგისტრატურის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები;
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების რაოდენობის გაზრდა, რათა სტუდენტებს არ შეექმნათ გარკვეული სირთულეები ხელმძღვანელების შერჩევასა.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

- მიზანშეწონილია სადიპლომო ნაშრომის წერილობითი ნაწილი გახდეს უფრო წარმომადგენლობითი.

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა**

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	v	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	v	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

##### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

##### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპეტენცია შეესაბამება პროგრამის საგანმანათლებლო და პრაქტიკულ/შემოქმედებით კომპონენტებს. პროგრამის თითოეულ კურსს ატარებენ პროფესორები და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პედაგოგები თუ სპეციალისტები. მათ გააჩნიათ საჭირო ცოდნა და გამოცდილება, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში, რაც გამოიხატება დარგში პროფესიული კვალიფიკაციის ფლობით, შემოქმედებითი და საშემსრულებლო საქმიანობით, ასევე კონფერენციებსა და სემინარებზე წარდგენილი ნაშრომებით, პუბლიკაციებით, მასტერკლასებით, ვორქშოპებითა და ხელოვნების ნამუშევრებით. ამრიგად,

პერსონალის პედაგოგიური და სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ეს პირობები დადასტურდა გასაუბრებაზე – განმახორციელებელმა პერსონალმა აჩვენა პროფესიული პედაგოგიური გამოცდილება და ცოდნა ქანდაკების დარგში სწავლების სპეციფიკის შესახებ. აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ დარგში აკადემიური პერსონალის ნაკლებობაა. დაწესებულებამ უნდა იზრუნოს აკადემიური პერსონალის მოზიდვაზე, რათა უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა)**

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა) <sup>9</sup>				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალი <sup>10</sup>	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი <sup>11</sup>	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	5	1	0	0
- პროფესორი	0	0	0	0
- ასოცირებული პროფესორი	3	1	0	0
- ასისტენტ-პროფესორი	2	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	20	8	3	0
სამეცნიერო პერსონალი	1	1	1	-

პროგრამა 1-ის (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა) განხორციელებაში ჩართულია 26 პერსონალი. პროგრამის პედაგოგიური პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატურია - 26/26. პერსონალი შედგება 5 აკადემიური, 1 სამეცნიერო პერსონალისა და 20 მოწვეული პედაგოგისაგან. 5 აკადემიურ პერსონალს შორის არის 2 პროფესორი და 3 ასოცირებული პროფესორი. აკადემიური პერსონალიდან მხოლოდ ერთი წარმოადგენს განათლების სფეროს. პროგრამაში არ არის პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა; მაგრამ პროგრამაში

ჩართულნი არიან ახალგაზრდა კადრები, როგორც მოწვეული მასწავლებლები, რომლებსაც აქვთ შემოქმედებითი/პრაქტიკული უნარები და პროფესიული გამოცდილება კანონის შესაბამისად აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. დარგობრივი გამოცდილების მქონე მოწვეული პერსონალის უმეტესობა წარმატებული და საერთაშორისოდ აღიარებული მოქანდაკეა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა (5/20) არ უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ექსპერტებს სურთ აღნიშნონ, რომ მასწავლებლების დიდი ნაწილი (ძირითადად მოწვეული სპეციალისტი) არის ქანდაკების დარგში პრაქტიკოსი პროფესიონალი, ამიტომ თეორიასა და პრაქტიკას შორის კავშირი და ურთიერთქმედება ძალიან მჭიდროა და უაღრესად შესაბამისი უახლეს ტენდენციების მიმართ. თუმცა, პროგრამის განვითარების, სასწავლო პროცესის სწორად განხორციელებისა და პროგრამის მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად, მკაცრად რეკომენდებულია დარგობრივი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, აქვს პროგრამის შემდგომი განვითარების ხედვა და პირადად არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. მაგრამ მას არ აქვს აკადემიური თანამდებობა. პროგრამის მდგრადობისათვის პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ეკავოს აკადემიური თანამდებობა.

პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალი <sup>13</sup>	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი <sup>14</sup>	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	1	1	0	0
- პროფესორი	0	0	0	0
- ასოცირებული პროფესორი	1	1	0	0
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	11	5	0	0
სამეცნიერო პერსონალი	1	1	0	0

პროგრამა 2-ის (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა) განხორციელებაში ჩართულია 12 პერსონალი. პროგრამის პედაგოგიური პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატურია (12/2).



პერსონალი შედგება 1 აკადემიური (წარმოადგენს განათლების სფეროს) და 11 მოწვეული პედაგოგისაგან, რომელთაგან 5 წარმოადგენს განათლების სფეროს. პროგრამაში არ არის პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა; საბაკალავრო პროგრამის მსგავსად, დარგობრივი გამოცდილების მქონე მოწვეული პერსონალის უმეტესობა, რომელსაც აქვს შემოქმედებითი/პრაქტიკული უნარები, არის წარმატებული და საერთაშორისოდ აღიარებული მოქანდაკე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა (1/11) არ უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ექსპერტებს სურთ აღნიშნონ, რომ მასწავლებლების დიდი ნაწილი (ძირითადად მოწვეული სპეციალისტი) არის ქანდაკების დარგში პრაქტიკოსი პროფესიონალი, ამიტომ თეორიასა და პრაქტიკას შორის კავშირი და ურთიერთქმედება ძალიან მჭიდროა და უაღრესად შესაბამისი უახლეს ტენდენციების მიმართ. თუმცა, პროგრამის განვითარების, სასწავლო პროცესის სწორად განხორციელებისა და პროგრამის მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად, მკაცრად რეკომენდებულია დარგობრივი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისთვის შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, აქვს პროგრამის შემდგომი განვითარების ხედვა და პირადად არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. მაგრამ მას არ აქვს აკადემიური თანამდებობა. პროგრამის მდგრადობისათვის პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ეკავოს აკადემიური თანამდებობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პერსონალური მონაცემები (CV-ები);
- მაგისტატურის პერსონალის სემესტრის დატვირთვის ჩამონათვალი
- კონტრაქტის ნიმუში,
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები
- პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეები;
- ინტერვიუს შედეგები ადგილზე ვიზიტის მსვლელობაში;

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.
- რეკომენდებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელს ეკავოს აკადემიური თანამდებობა.



**კლასტერის ზოგადი რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	v	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	v	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

#### 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა)**

პროგრამის განხორციელებაში ჩართული ხელმძღვანელის კომპეტენცია შეესაბამება პროგრამის საგანმანათლებლო და პრაქტიკულ/შემოქმედებით კომპონენტებს. ერთ ასოცირებულ პროფესორს და 3 მოწვეულ მასწავლებელს/სპეციალისტს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და საჭირო ცოდნა და გამოცდილება, რათა დაეხმაროს სტუდენტებს, უხელმძღვანელონ შემოქმედებითი პროცესს, იმუშაონ სამაგისტრო პროექტზე და მიაღწიონ სწავლის შედეგებს დარგში პროფესიული კვალიფიკაციის ფლობით, შემოქმედებითი და საშემსრულებლო საქმიანობით, გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრებით და ა.შ.

ამრიგად, ხელმძღვანელების პედაგოგიური და სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ეს პირობები დადასტურდა გასაუბრებაზე - განმახორციელებელმა პერსონალმა აჩვენა პროფესიულ-პედაგოგიური გამოცდილება, ქანდაკების სწავლების სპეციფიკის ცოდნა, სამხატვრო აკადემიაში არსებული სტუდენტების შეფასების სისტემის ცოდნა.

პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა) <sup>8</sup>			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგის მიმართულებით	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

<sup>8</sup> აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

		დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი <sup>9</sup>	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	4	0	0
- პროფესორი	0	0	0
- ასოცირებული პროფესორი	1	0	
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0
მოწვეული პერსონალი	3	0	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- o თვითშეფასების ანგარიში
- o განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების მითითებით;
- o ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ;
- o საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები (CV-ები)
- o საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი მონაცემები (CV), პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები;
- o ინტერვიუს შედეგები ადგილზე ვიზიტის მსვლელობაში
- o პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა)**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

სამაგისტრო ნაშრომის გაძღოლისათვის მიზანშეწონილია მეტი აკადემიური პერსონალის ჩართვა.

<sup>9</sup> ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა)	v	□	□	□

### 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ ახორციელებს პროგრამის პერსონალის შეფასებას და რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამხატვრო აკადემია წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით საქმიანობას. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით (თბილისის სამხატვრო აკადემიაში კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და სისტემა დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 22 მარტის სხდომაზე, N52), აკადემიაში შემუშავდა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობა შეფასების მექანიზმები. ყოველი კალენდარული წლის ბოლოს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს ანგარიშს პროგრამის პერსონალის შემოქმედებითი მუშაობის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოზე განხილული ანგარიშები წარედგინება აკადემიურ საბჭოს და იგზავნება კვლევისა და განვითარების დეპარტამენტში. ფაკულტეტის ანგარიშები უნდა შეიცავდეს შეფასების შედეგებს, რომელიც ასახავს პიროვნულ შემოქმედებით საქმიანობას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული დანართის მიხედვით (დანართი N3 და დანართი N4).

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების სისტემა უფრო მეტ კონკრეტულობასა და პრაქტიკაში რეგულარულად დანერგვას საჭიროებს. ზოგადად, შემოქმედებითი საქმიანობის შეფასება გაზომვადი ინდიკატორებით უადრესად პირობითია და ყოველთვის ვერ ქმნის ობიექტურ სურათს. ამიტომ, დაწესებულებამ უნდა სრულყოფს შეფასების კრიტერიუმები და რეგულარულად ჩაატაროს პერსონალის შეფასებები.

დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში ჩართვას. პარტნიორ უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ვიზიტის დროს აკადემიურ პერსონალს საშუალება აქვს გაეცნოს სწავლის/სწავლების და სამეცნიერო კვლევის საერთაშორისო პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას. დაწესებულება ხელს უწყობს თანამშრომლებს, რომ დაუკავშირდნენ მხატვრული პროფილის ადგილობრივ და უცხოურ დაწესებულებებს და ჩაერთონ საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში. თუმცა პროგრამის ბიუჯეტში შემოქმედებითი და სამეცნიერო საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა არ არის გათვალისწინებული.

დაწესებულებაში არსებობს სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი პროექტების შიდა დაფინანსების წესი. თუმცა, როგორც დოკუმენტაციის განხილვისა და გასაუბრების შედეგებმა გვაჩვენა, დაწესებულებას არ აქვს წინასწარ განსაზღვრული ბიუჯეტი სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტების დასაფინანსებლად. გარდა ამისა, პროექტების შეფასების კრიტერიუმები არ არის შემუშავებული და პროექტებს აფასებს რექტორის კომისია. უმჯობესია შეფასება მოახდინოს დარგის სპეციალისტების მიერ დამტკიცებულმა კომისიამ, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თანამშრომლებს გაუჭირდებათ შემოქმედებითი საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, რაც უარყოფითად აისახება პროგრამის ხარისხზე.

რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესება, შეფასების კომისიის დაკომპლექტების პროცედურის შეცვლა და შემოქმედებითი პროექტების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება. რეკომენდირებულია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ბიუჯეტში თანხების ჩართვა.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- წარმოდგენილი დოკუმენტები
- ინტერვიუები სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან
- ბიუჯეტის გეგმა

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესება, პროექტის შეფასების კომისიის დაკომპლექტების პროცედურის შეცვლა და შემოქმედებითი პროექტების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება.

- რეკომენდებულია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ბიუჯეტში თანხების ჩართვა.

**კლასტერის ზოგადი რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- სამხატვრო აკადემიამ უნდა იმუშაოს საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებაზე, რათა უზრუნველყოს ინტეგრაცია თანამედროვე ქანდაკების ხელოვნებასთან საქართველოს ფარგლებს გარეთ.

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	v	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	v	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

#### 4.4. მატერიალური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია საბაზისო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

ინტერვიუების შედეგად სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა განაცხადეს, რომ მათ ჰქონდათ გარკვეული პრობლემები საკმარის მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით.

პროგრამები აღჭურვილია საჭირო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებითა და ტექნიკური აღჭურვილობით საგანმანათლებლო პროგრამაში ასახული სწავლის შედეგების მისაღწევად. აკადემიის ფარგლებში არსებული რამდენიმე ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და



სასწავლო მასალა. ეს რესურსები, ელექტრონული მედიის ჩათვლით, უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას. თსსა-ს ასევე აქვს ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომელიც აგროვებს ამ სფეროში უახლეს ლიტერატურას და ახდენს მის რეგულარულ განახლებას. საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი სახელმძღვანელოები. თსსა-ს ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო მასალებით, სამეცნიერო ლიტერატურით, ასევე ბიბლიოთეკის წიგნების მონაცემთა ბაზაზე წვდომით. სტუდენტებს აქვთ წვდომა თანამედროვე სამეცნიერო ჟურნალებთან, ციფრულ რესურსებთან და საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებთან. ხელმისაწვდომი ელექტრონული ბაზები მითითებულია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე: ამჟამად აკადემიას აქვს წვდომა შემდეგ მონაცემთა ბაზებზე:

1. Elsevier-Scopus (<https://www.scopus.com/home.uri>);
2. Elsevier - ScienceDirect (<https://www.sciencedirect.com/>);
3. საგანმანათლებლო რესურსების საინფორმაციო ცენტრი (<https://eric.ed.gov/>);
4. სოციალური მეცნიერებების კვლევის ქსელი (<https://www.ssrn.com/index.cfm/en/>);
5. Bielefeld Academic Search Engine (<https://www.base-search.net/>);
6. Jstor (<https://www.jstor.org/>);
7. EIFL (<https://eifl.remotexs.xyz/user/login>);
8. JURN (<http://www.jurn.org>) - ხელშეკრულება გაფორმებულია JURN-თან.
9. აკადემიური კვლევის გაზიარების პლატფორმა ACADEMIA (<https://www.academia.edu/>) - ACADEMIA-მ გააფორმა ხელშეკრულება.
10. Perlego ([www.perlego.com](http://www.perlego.com)) - ხელშეკრულება გაფორმებულია Perlego-თან.

აღსანიშნავია, რომ სამხატვრო აკადემიას არ აქვს ცალკე კონტრაქტი ამ მონაცემთა ბაზასთან. შეუზღუდავი წვდომა უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკების ინტეგრირებული ქსელის კონსორციუმის წევრობით. კონსორციუმში, მათი შესაძლებლობების ფარგლებში, ანიჭებს წვდომას უმაღლესი განათლებისთვის ხელმისაწვდომ ყველა რესურსზე. ამ მონაცემთა ბაზებზე წვდომა ხელმისაწვდომია თსსა-ს ყველა თანამშრომლისა და ყველა საფეხურის სტუდენტისათვის, როგორც დაწესებულების შიგნით, ასევე დისტანციურად ნებისმიერი ადგილიდან. თსსა-ს წარმომადგენლებს შეუძლიათ მონაცემთა ბაზებზე დისტანციურად წვდომა მათი ინსტიტუციური ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. თითოეული მომხმარებელი აწვდის თავის ინსტიტუციურ ელფოსტას, რომელიც დაკავშირებულია მათ Elsevier ანგარიშთან და მონაცემთა ბაზებზე წვდომის ბმული იგზავნება ამ ელფოსტაზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა);

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

„ქანდაკების“ პროგრამაზე ჩარიცხულ ბაკალავრიატის სტუდენტებს აქვთ წვდომა აღნიშნულ მატერიალურ რესურსებზე სწავლის განმავლობაში, მათ შორის პრაქტიკული სწავლებისა და

სადიპლომო ნაშრომის დასრულებამდე. თუმცა, ამ რესურსებზე წვდომა ნებადართულია მხოლოდ საგნის ლექტორის ან ნაშრომის ხელმძღვანელის უშუალო ზედამხედველობითა და მეგზურობით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა);

ქანდაკების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს სწავლის, პრაქტიკული მეცადინეობისა და სადიპლომო ნაშრომის შესრულებისას ასევე აქვთ ზემოთ აღნიშნულ მატერიალურ რესურსებზე წვდომა. ისინი პასუხისმგებელი არიან გადაწყვეტილების მიღებაზე ლექტორთან/ხელმძღვანელთან თანამშრომლობასა თუ სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულებაზე, თუმცა სახელოსნოს კურატორების მეთვალყურეობის ქვეშ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში
- o სამხატვრო აკადემიის ვებსაიტი <https://www.art.edu.ge>
- o ექსკურსიები ადგილზე ვიზიტის დროს
- o ინტერვიუს შედეგები ადგილზე ვიზიტის მსვლელობაში
- o საბიბლიოთეკო რესურსები
- o ქანდაკების სახელოსნოები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სასურველია, სტუდენტებს ჰქონდეთ სამუშაო მასალებზე უკეთესი მხარდაჭერა. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ წვდომა მაღალხარისხიან მასალებზე, რომელთა გამოყენება შეიძლება მრავალჯერადად.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)



რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (ქანდაკება, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

ჩართეთ სტუდენტები ახალი ობიექტების დაგეგმვის პროცესში და უზრუნველყავით, რომ დიზაინი მოიცავდეს მრავალმხრივ, მოქნილ სივრცეებს, რომლებიც მოემსახურება ინდივიდუალურ პროექტზე დაფუძნებულ სამუშაოებს.

\*\*\*\*\*

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა)	v	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა)	v	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

ორივე პროგრამას - ქანდაკების ბაკალავრიატს და მაგისტრატურას 2023 წელს ჯერჯერობით აქვს უარყოფითი ბალანსი. საერთო ჯამში, კლასტერისთვის ფინანსური თვალსაზრისითაც არსებობს ძალიან ამბიციური და გამომწვევი გეგმები. დიდი თანხები იქნება საჭირო ახალი შენობისა და

ობიექტებისთვის. გარდა ამისა, უფრო განვითარდება ცენტრალიზებული ბიბლიოთეკა. რექტორის თქმით, უსდ-ს აქვს ამ გეგმების სამთავრობო დაფინანსება და უსდ შეიძლება ელოდოს მეტ შემოსავალს თბილისის ურბანულ პროექტებში მონაწილეობით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა)

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

პროგრამას აქვს უარყოფითი ბალანსი 13071.262 ლარის ოდენობით. ბიუჯეტის უმეტესი ნაწილი იხარჯება აკადემიურ პერსონალზე. თითქმის არ იხარჯება ბიუჯეტი იმ მასალებისთვის, რაც აისახა სტუდენტების კომენტარებში.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამას აქვს არსებითად უარყოფითი ბალანსი 31394.342 ლარის ოდენობით. ბიუჯეტის უმეტესი ნაწილი იხარჯება აკადემიურ პერსონალზე. თითქმის არ იხარჯება ბიუჯეტი იმ მასალებისთვის, რაც აისახა სტუდენტების კომენტარებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიუჯეტის გეგმები
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

შეიმუშავეთ უფრო მდგრადი ბიუჯეტი, მასალების მხარდაჭერის შესაძლებლობის ჩათვლით.

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 2 (ქანდაკება,  
სამაგისტრო პროგრამა)



X



#### პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (დასახელება, დონე)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (დასახელება, დონე)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

#### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ის დაგეგმვის, შემუშავების ან/და მოდიფიკაციის პროცესებს. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის უნივერსიტეტის დეპარტამენტს და შესაბამის სამსახურებს 5 ფაკულტეტზე.

კლასტერის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზნები აკადემიაში განათლების შიდა ხარისხის შეფასების თვალსაზრისით არის:

- სამივე დონის საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი განვითარება
- ხარისხის კულტურის ამაღლება.

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს შორის იდენტიფიცირებულია შემდეგი: საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და შეფასების მექანიზმები; საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმი; საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის შეფასების მექანიზმი; საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი. შეფასების პროცესებს ახორციელებენ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის თანამშრომლებთან ინტერვიუებისა და პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჯვარედინი ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ ისინი მუდმივად იღებდნენ კითხვარებს.

ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა/შემუშავება/მოდიფიკაცია და საგანმანათლებლო პროგრამების მიმდინარე შეფასება/განვითარება ხდება წინასწარ დადგენილი წესით და პროცედურებით, ასევე წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება პროგრამის დამტკიცების დადგენილი წესით.

ასევე, აღსანიშნავია, რომ არსებობს თანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალსა და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს შორის. პროგრამის ხელმძღვანელები აცნობიერებენ პროგრამის შინაარსს და პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქანდაკების კლასტერული პროგრამების ხარისხისა და მდგრადობის ასამაღლებლად უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა. ძნელია ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისა და აკადემიური პერსონალის თანამშრომლობის შეფასება, რადგან ორ საგანმანათლებლო პროგრამაში დასაქმებულია 2 აკადემიური პერსონალი.

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში კლასტერის პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის მომზადება ასევე იყო თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც თანაბრად იყვნენ ჩართულნი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

დაბოლოს, ყველა დაინტერესებული მხარე უნდა ჩაერთოს და მხარი დაუჭიროს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მუშაობას. კმაყოფილების გამოკითხვები, რომლებშიც უნდა მონაწილეობდეს ყველა დაინტერესებული მხარე, უნდა იყოს გამოსადეგი და აჩვენოს, რომ ისინი ემსახურებიან სიტუაციის გაუმჯობესებას. ყველა ჯგუფი უნდა იყოს ინფორმირებული მათი შედეგებისა და გაუმჯობესების გეგმების შესახებ, რომლებიც განხორციელდება ამ კვლევების შედეგების წყალობით. გამოკითხვის შედეგები და გაუმჯობესების გეგმის მიზნები უნდა იყოს კონკრეტული თითოეული პროგრამისათვის და ხელმისაწვდომი ვებგვერდსა და სხვა საკომუნიკაციო არხებზე.

[საჭიროების შემთხვევაში](#), აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)**

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- o კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- o ინტერვიუს შედეგები;
- o კლასტერის პროგრამები;
- o პროგრამების მიხედვით სწავლების ხარისხის განვითარება;
- o შეფასების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა და კლასტერში არსებულ პროგრამებთან უფრო ეფექტური თანამშრომლობა.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

მიზანშეწონილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა გაუწიოს მონიტორინგი ყველა დაინტერესებული მხარის მიერ შეფასების შედეგების და მასზე დაფუძნებული გაუმჯობესების გეგმის მიღება.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**5.2. გარე ხარისხის შეფასება**

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**



კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი აღიარებს ავტორიზაციას და აკრედიტაციას, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმს, რომელსაც ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა ჩაატარა კლასტერის პროგრამების გარე (კოლეგიალური) შეფასება და ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო აღნიშნულ დოკუმენტს. თბილისის არქიტექტორთა და მოქანდაკეთა ასოციაციის თავმჯდომარემ განახორციელა შეფასება და შესთავაზა რამდენიმე რეკომენდაცია. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ გარე შეფასებები გადაწყვეტია პროგრამის განვითარების პროცესისათვის და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა უნდა მოამზადოს გარე შეფასების ფორმები, რომლებიც შეივსება დარგის ექსპერტების მიერ, სხვადასხვა დაწესებულებებთან საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში. ამრიგად, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა უნდა შეიმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების სტრატეგია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- o ინტერვიუს შედეგები;
- o კოლეგიალური შეფასების შედეგი;
- o კლასტერის პროგრამები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:**

მიზანშეწონილია ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა მოამზადოს გარე შეფასების ფორმა, რომელიც შეივსება დარგის ექსპერტების მიერ სხვადასხვა დაწესებულებასთან საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
---------------------------------------	------------------------------	---------------------------------------	-----------------------------------------	-------------------------------------

პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მონაცემთა სისტემატური შეგროვების, შესწავლისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლების ხელმძღვანელობით. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას აფასებენ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ერთმანეთთან კოორდინაციით. თვითშეფასების ანგარიშსა და მარეგულირებელ დოკუმენტებში წარმოდგენილია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების პროცესი ეფუძნება შემდეგ მონაწილეებს: ა) სტუდენტები; ბ) აკადემიური და მოწვეული პერსონალი გ) პოტენციური დამსაქმებლები; დ) პროგრამის კურსდამთავრებულები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, რომელიც ეხება მოქმედ პროგრამებს, უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტების გამოკითხვას კურსების შესაფასებლად, ხოლო კვლევის შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარების პროცესში. ასევე, პროგრამის განხორციელებისას სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ჩართული პროფესორები და პროგრამის ხელმძღვანელი წარადგენენ ანგარიშს პროგრამის ან სასწავლო კურსების მიმდინარეობის შესახებ. გამოკითხვისა და ანგარიშის შედეგებს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელები და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებენ მხარეებისათვის გაუმჯობესების რეკომენდაციებს. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი ეხება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ინტერვიუებსა და ჯვარედინი გამოკითხვებზე დაყრდნობით, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა იგივე ინფორმაცია მიაწოდა ექსპერტთა ჯგუფს. აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი უნდა ატარებდეს სტუდენტების გამოკითხვებს არა მხოლოდ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით. სტუდენტებმა ასევე უნდა შეაფასონ უნივერსიტეტის მომსახურებებიც. ინტერვიუებისას სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ მათ სერიოზული პრობლემები შეექმნათ მატერიალური რესურსების



ნაკლებობასთან დაკავშირებით. ისინი, ასევე წუხდნენ იმის გამო, რომ არ ჰქონდათ არჩევითი სასწავლო კურსები და საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები ქანდაკების მიმართულებით და სხვ. ადგილზე ვიზიტისას ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა დამატებით წარმოადგინა მხოლოდ კითხვარი, მაგრამ არა შეფასების რეალური შედეგები.

საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების პროცესში საერთაშორისო ტენდენციების გასათვალისწინებლად, კლასტერული პროგრამები შეადარეს პოლონეთის უნივერსიტეტის მსგავს პროგრამებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შედარებითი ანალიზი არ მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას მათი მსგავსების, განსხვავებებისა და პროგრამების სამომავლო განვითარების თაობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- o ინტერვიუს შედეგები;
- o კლასტერის პროგრამები;
- o მსგავს პროგრამებთან შედარებითი ანალიზი.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა ჩაატაროს სტუდენტების/კურსდამთავრებულების გამოკითხვები არა მხოლოდ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით. სტუდენტებმა ასევე პერიოდულად უნდა შეაფასონ უნივერსიტეტის მომსახურებებიც;
- o რეკომენდებულია სტუდენტების გამოკითხვის თემატიკის მასშტაბის კიდევ უფრო გაზრდა და დივერსიფიკაცია, რათა მოიცავდეს არა მხოლოდ სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასებას, არამედ ზოგად საუნივერსიტეტო საკითხებსაც. ამავდროულად, მას უნდა ჰქონდეს პერიოდული სახე და აქტიურად ხდებოდეს შედეგების გაანალიზება.

**კლასტერის საერთო რჩევები:** მიზანშეწონილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შექმნას მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზი მსგავსების, განსხვავებებისა და პროგრამების სამომავლო განვითარების მნიშვნელოვანი ინფორმაციით.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 2 (ქანდაკება,  
სამაგისტრო პროგრამა)



პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები: ქანდაკების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

სარჩევი: სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება	3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
ქანდაკება, საბაკალავრო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ქანდაკება, სამაგისტრო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
-----------------------------------	---------------------------------------------	---------------------------------	---------------------------------------------	---------------------------------------------	---------------------------------------------

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის  
პროფესორი იორგ ობერგფელი,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ასოცირებული პროფ. თამარ ჩხეიძე

სრული სახელი, ხელმოწერა  
ანი ქვათაძე

სრული სახელი, ხელმოწერა

სოსო გაზდელიანი